№ 7. 19 თებერვალს 1871 19 თებერვალს № 7.

# დროება

**გაზეთის ფასი**

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |
| | | | |

ველი, რომელზედაც დაემყარებინა თავისი აზრი. და თუ იმას იტყვის, რომ გაზეთში ყოველსფერი დაიწერებაო, სიცრუეც და სიმართლეც, მაშინ ამის მთქმელს უნდა უთხრათ, რომ იმას არ ესმის მნიშვნელობა გაზეთისა: ყოველი ორღანო ლიტერატურისა დაარსებულია სიმართლისთვის და არა სიცრუისთვის.—

დანარჩენს კითხვებზე პასუხის გება, ჩემის ფიქრით, საჭირო არ არის, რადგანაც შემდეგი სიტყვები ავტორისა არის მხოლოდ გაგრძელება პირველის აზრისა, გამოთქმულის იმისივე სტატიის თავში,—და თუ ჩვენ იქამდინ მივაღწიეთ, რომ მკითხველი დარწმუნდა ავტორის შეცთომილებაზე, მაშინ შემდეგი სიტყვების დარღვევა საჭირო არ არის.

გრ. თარხან-მოურავი.

1871-ს წელს, თებერვლის 15-ს
ქ. თბილისი.

## უფ. გრ. თარხან-მოურავს.

### I

მეტის-მეტათ თავმოყვარე კაცებს ერთი დიდი და მათთვის მუდამ მავნებელი უბედურება სჭირთ: ეს უბედურება მდგომარეობს იმაში, რომ ამნაირ კაცებს არასოდეს არ შეუძლიანთ რამ ნაკლულევანება მონახონ თავის თავში; ამის გამო ისინი, რასაკვირველია, თავის დღეში გულ-გრილათ ვერ ეტიტმენენ, ვინმე გარეშე პირმა რომ მონახოს და უჩვენოს იმათ რომელიმე იმათი ნაკლულევანება და შეცდომა: თავმოყვარე კაცები იმ წამსვე საშინლათ გაანჩხლდებიან, გაწიწმატდებიან და დაიწყებენ ყვირილს: თქვენ მე ვერ მიცნობთ, თქვენ ჩემზე სიცრუეს ამბობთ, მე არასოდეს არ შევცდებიო და სხ.. ამ დროს ამათ სწორ-მსჯელობა და ლოღიკა თითქმის სრულიათ ეკარგებათ: მის ნაცვლათ წამოისვრიან ულოღიკო აზრებს, ლანძღვა-გინებას და სხვა ათას ნაირ უშვერს და უაზრო სიტყვებსა. არ იფიქროთ, რომ თავ-მოყვარე კაცს [illegible] ძლოს; ადვილათ შესაძლებლია, რომ თავმოყვარე კაცი ჭკუიანი და განათლებული იყოს, მაგრამ ეს თავ-მოყვარების ლურსმანი ხშირათ უხშავს იმას გონებას, განსაკუთრებით თუ ვინმე გაბედა ამ ლურსმნის ხელის მოკიდება და ცოტათი შენძრევა....

### II

ზემოთ დაბეჭდილი და შენგან, მკითხველო, ეს არის წაკითხული უფ. თარხან-მოურავის სტატია—ამის დასამტკიცებლათ საკმაო მასალებს წარმოგვიდგენს.

„დროების“ მოწინავე სტატიამ შემდეგი სიტყვებით მოსდვა კლანჭი უფ. თარხან-მოურავის თავ-მოყვარების ლურსმანსა:

„...ჩვენ გვიკვირს, ამისთანა საქმის წარმატებისათვის რათ არიან თავგადადებულნი ზოგიერთი ჩვენი ახალგაზდა ყმაწვილები“.

ამ ლურსმნის ზედ-მოქმედებით, უფ. თარხან-მოურავმა მოჰყვა წერას და დასწერა, არა თუ მარტო ერთი მოწინავე სტატიის, არამედ მთელი „დროებისა“ და იმის რედაქციის მიწასა და წყალთან გასასწორებელი სტატია!.. დიახ, მეტის-მეტი თავმოყვარეობა, მკითხველო, ძალიან ძნელი საქმეა, დიდი უბედურებაა; ის ხშირათ ვნებას აძლევს ადამიანის ლოღიკასა. აი, ამის ნიმუშნი:

— პირველი ნიმუში. მკითხველო, ერთი მითხარი: დაუწყებ შენ ვისმე ისეთს საგანზე ლაპარაკს, რომელიც, ნამდვილათ იცი, შენ მესაუბრეს არ მოეწონება, ან ვერ გაიგებს, ან რომელშიაც ის არავითარ ინტერესს არ ჰპოებს, თუ არა! თუ გონებიანი კაცი ხარ, უეჭველია, არ დაუწყებ, თუნდ რომ შენ თვითონ ძალიან გესიამოვნებოდეს იმ საგანზე სჯა. თუ შენ გონებიანი კაცი ხარ, არასოდეს არ დაიწყებ ლაპარაკს მაგ. მეჩექმეთან შენი ჩითმერდინის კაბის შეკერულობაზე; არასოდეს არ დაიწყებ ლაპარაკს რომლისამე ზვეობიანი კაცის წინ, ესთქვათ, ფეხ-რბილოსანი ლიზკას ჟუჟუნა თვალებზე, ან იმის პაწაწა ფეხებზე. უფ. თარხან-მოურავმა კი სულ სხვანაირათ მოიქცა: ჯერ ის ამბობს:

„რამდენიმე დღ ს წინეთ ჩვენ განუზიარეთ ამ სტატიის ავტორს აზრი, რომ ძალიან კარგი იქნებოდა შესდგეს იმ გვარი მაწარმოებელი საზოგადოება“ და სხ.

რამდენიმე სტრიქონის შემდეგ მკითხველი ამ სიტყვებს წაიკითხავს:

„დაწვრილებით მე არ განვიხილავ (მგონი, „განმიხილავს იმისთვის“ ე. ი. ჩემთვის, ავტორისთვის—უნდა იყოს) რამდენს სარგებლობას მოუტანს ამ გვარი საზოგადოება ჩვენს ხალხს, რადგანაც უსახელო ავტორს არ უყვარს წვრილიადი გამოკითხვა რომელიმე საგნისა..“ და სხ.

ერთი მითხარით, უფ. თარხან-მოურავო: თუ უსახელო ავტორს არ უყვარდა რომელიმე საგნის გამოკითხვა, თუ იცოდით, რომ იმისთვის საინტერესო არ იქნებოდა თქვენი საუბარი—აბა, რათ ელაპარაკებოდით? ძალას ხომ არავინ გატანდათ? ან თქვენ იცოდით, რომ იმასთან ამისთანა საგნებზე ლაპარაკი ტყუილათ დროს დაკარგვა არ იქნებოდა, და ან სრულიად არ დაუწყებდით იმას ლაპარაკსა.

### III

მეორე ნიმუში. უფ. თარხან-მოურავი ამბობს:

„მაშასადამე, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ყოველი ეს იყო დაწერილი მხოლოთ „დროების“ ფურცლების შესავსებლათ, რომ ცარიელი ადგილი არ დარჩენილიყო და გაზეთის შესავსებლათ დიდი საქმე არ უნდა სიცრუვის მოგონებას.“

უფ. თარხან-მოურავო! გახსოვთ, რას სწერდით თქვენ ამ წლის „დროების“ მესამე № ში? თუ მეხსიერებამ გიმტყუნათ, ჩახედეთ ამ ნომერში და შემდეგ თქვენ სიტყვებს წაიკითხავთ:

„უეჭველია, რომ საზოგადოების ამ გვარის თანაგრძნობით ჩვენი ლიტერატურა ვერ ნახავს წარმატებას და შემიძლიან ესეც ვსთქვა, რომ სრულიად უსაფუძველო მოთხოვნილება იქნება საზოგადოებისაგან, რომ „დროება“ ანუ „მნათობი“ რატომ უკეთ არ აღასრულებს თავის საქმეს,—წინაადმდეგ ამისა, უნდა ვსთქვათ, რომ „დროება“ თავის მოვალეობას ასრულებს დიდის მეცადინეობით და თავის საქმის ერთგულობით.“

რომელი ერთია თქვენი ნამდვილი აზრი, უფ. თარხან-მოურავო? რა უნდა ვთქვათ იმ კაცზე, რომელიც ერთ დროს ამბობს, რომ „დროების“ რედაქცია თავის მოვალეობას დიდის მეცადინეობით და საქმის ერთგულობით ასრულებსო და სამი კვირის შემდეგ კი ამავე რედაქციაზე წამოიძახის, რომ ის „მხოლოთ ფურცლების შესავსებელათ ჰბეჭდავს სიცრუეებსაო“? რა უნდა ვთქვათ იმ კაცზე, უფ. თარხან-მოურავო, რომელიც თითქმის ერთს და იმავე დროს რომელსამე საგანზე ორს, ერთმანეთის წინააღმდეგ, აზრს გამოთქვამს? ოჰ, წყეულო, თავ-მოყვარეობავ! რა საშინელი მტერი ხარ შენ სწორ-მსჯელობისა!.

მესამე ნიმუში. ჯერ თქვენ ამბობთ, რომ „განმიზიარეთ აზრი, რომ ძალიან კარგი იქნება შესდგეს იმ გვარი მაწარმოებელი საზოგადოება“ და სხ. და მერე კი აცხადებთ, რომ „თქვენ ხართ წევრი ამ მომავალი საზოგადოებისა.“ არის ლოღიკა ამ სიტყვებში? ანა და როგორ შეიძლება კაცი იყოს წევრი ჯერ გაუჩენელი საზოგადოებისა? როგორ შეიძლება შეიქნეს ვინმე მამად, თუ ჯერ შვილი არა ჰყავს?...

### IV

ახლა მოვთვალოთ რამდენი სიცრუის დამრუდე-მსჯელობის ნიმუში წარმოგვიდგინა უფ. თარხან-მოურავის „ორიოდე სიტყვამ.“

პირველი სიცრუე. „დროების“ მოწინავე სტატიაში არსად არ არის ნათქვამი, რომ ეს საზოგადოება შემდგარია და „კიდეც მოქმედებსო“. ვისაც თვალები და გაგება ჰქონდა, ის კარგათ მიხვდებოდა, რომ ჩვენ ვსთქვით: „რამდენიმე ნაბატონრები შეკრებილან და არ დგენენ საზოგადოებასაო, და არა „საზოგადოება შეადგინეს და მოქმედებს კიდეცო.“ ამას თქვენც ამბობთ. მეორე ადგილას იმ სტატიაშივე სწერია: „თუ ამ „მწარმოებელს საზოგადოებაში“ მარტო ნაბატონრები, ისიც მხოლოთ რაოდენიმე პირი, მიიღებენ მონაწილეობას, მაშინ ამ საქმეში შესანიშნავი მაგდენი არა იქნება რა.“ ბევონია, ცხადია, უფ. თარხან-მოურავო, რომ აქ საზოგადოების შედგენაზე, როგორც გადაწყვეტილ საქმეზე, სიტყვაც არარის ნათქვამი?

მეორე სიცრუე. მეორე სიცრუე ის გახლავს, რომ ამბობთ, ვითომ უსტაპი არ იყოს დაწერილი. მე ჩემი თვალებით ვნახე „თფილისის მწარმოებელთ საზოგადოების უსტაპი“. უეჭველია, თქვენც გექნებათ ნახული; არა თუ ნახული, შეიძლება ისიც იცოდეთ—ვისი დაწერილია. მართალია, შეიძლება ეს უსტაპი ჯერ „მზათ არ იყოს“, (მაშინ მე დიდსა და შეუნდობელს შეცდომაში ჩავარდნილივარ), იქნება ეს უსტაპი ჯერ მიღებული არ იყოს მომავალი საზოგადოებისაგან, მაგრამ ის კი მაინც მართალია, რომ უსტაპი დაწერილია...

### V

ორიოდ ნიმუში თქვენი მრუდე-მსჯელობისაც წარმოგიდგინოთ.

პირველი მრუდ-მსჯელობა. როგორ გგონიათ, უფ. თარხან-მოურავო: ჯერ საზოგადოება შესდგება და დებულება დაიწერება, და მერე მიზანი გამოჩნდება, თუ ჯერ მიზანი უნდა იყოს და მერე, ამ მიზნის მისაღწევათ, სდგება საზოგადოება და უსტაპესაც სწერენ? ჩვენი აზრით, ყოველთვის და ყველგან ასე მოხდება ხოლმე, რომ ჯერ მიზანი გაჩნდება და მერე კი საზოგადოება, ან რომელიმე წრე, რომელიც ხმაროობს ყოველ საშუალებას ამ მიზნის მისაღწევათ; ერთი ამ საშუალებათაგანი არის დებულება, ანუ უსტაპი, რომელშიაც გამოყვანილი უნდა იყოს სხვათა შორის საზოგადოების მიზანი, მოქმედება და წევრების ვალდებულება.

თქვენ კი ამტკიცებთ, რომ თუ არ დებულებიდგან, ან საზოგადოების მოქმედებიდგან,—მე არ შემეძლო შეტყობა ამ საზოგადოების მიზანი? რათ ვერ შემეძლო, შე ქრისტიანო, თუ კი მიზანი წინათვე ჩნდება? ბანაკოტაა ქვეყანაზე ისეთი საზოგადოებები, რომელთაც მიზანი გარკვეული აქვთ, მაგრამ დებულება კი არა? მაშ ამისთანა საზოგადოების მიზანი ვერ შეუტყვია კაცს განა?

მეორე მრუდ-მსჯელობა. მაგრამ ეს არაფერია: გაანჩხლებამ რომ ამისთანა წვრილმანი მოსაზრება დააგიწყოს კაცს, გასაკვირველი არ არის რა. ბასაკვირველი და სამწუხარო ის არის, რომ უფ. თარხან-მოურავს, პოლიტიკო-ეკონომიური სტატიების ავტორს *), დავიწყნია, ან ვერ გაუგია ის ჭეშმარიტება, რომ მწარმოებელი საზოგადოებები ყველგან იმისთვის სდგებიან ხოლმე, რომ „ის სარგებლობა, რომელსაც მწარმოებელთა და მომხმარებელთ შორის შუამდგომელი, ანუ ეჭვარი, იღებს, თვითონვე ამ საზოგადოების წევრებს დარჩესთ“. ეს უკანასკნელი სიტყვები უფ. თარხან-მოურავს არ მოსწონს და მგონია, დაცინვათაც მიაჩნია. მაგრამ ვარწმუნებთ, რომ სცდება: ყოველ მწარმოებელ საზოგადოებას რომ მხოლოთ ეს მიზანი აქვს, ამაში დარწმუნება შეუძლია იმას, თუ არ დაიზარებს და რომელსამე საპოლიტიკო-ეკონომიის სახელმძღვანელოში ჩახედავს. იქ ცხადათ ნახავს ის, რომ ყოველ მწარმოებელ საზოგადოებას მხოლოთ ერთი მიზანი აქვს: თავიდამ მოიშოროს ეჭვრები და კაპიტალისტები, რომელნიც მწარმოებლების შრომით სარგებლობენ და ჯიბეებს იტენიან. თუ ეს ასე არ იყოს, უფ. თარხან-მოურავო, ევროპის მუშა, ღარიბი ხალხი რათ სცდილობს და რათ ხმაროობს ყოველ ღონის-ძიებას, რომ როგორმე ფაბრიკა, ან ქარხანა ჩაიგდოს ხელში და, კაპიტალისტების ნაცვლათ, თვითონ ისარგებლოს?

### VI

ახლა ეკითხოთ უფ. თარხან-მოურავს: რა ნახა იმან „დროების“ მოწინავე სტატიაში ისეთი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო აღელვება და ფარ-ხმალით საომრათ გამოლაქრება? ნუ თუ ის ეწინააღმდეგება ამ სტატიის აზრს, რომელიც ორი სიტყვით გამოითქმის: სანატრელია, ისეთი საზოგადოება გაიმართოს ჩვენში, რომელმანც ღარიბ ხალხს გაუადვილოს და შეუმსუბუქოს თავის ნაწარმოების გასაღება? ნუ თუ ის ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ სამი და ოთხი, უიმისოთაც შეძლებული, ნაბატონრების გამდიდრებით ჩვენ ქვეყანას არა შეეძინება რა?

ამ საგანზე ელაპარაკობდი იმის გამოისობით, რომ თფილისში ხმა იყო გავარდნილი, ახალი საზოგადოება დგებაო.

რაც შეეხება იმას, რომ ჩვენ ვწერდით „გავიგონეთო“, ამაზე აი რას მოვახსენებთ უფ. თარხან-მოურავს. თუ თქვენ რომელსამე ენაზე გიკითხავთ გაზეთი, უსათუოთ ყოველ ნომერში არა-ერთხელ ნახავდით ამ გვარ სიტყვებს: „ჩვენ შევიტყეთ, ჩვენ გავიგონეთ, ჩვენამდი მოაწია იმ ამბავმა, ჩვენ გვითხრეს“ და სხვ. შეიძლება, ზოგიერთი ამ ხმებთაგანი მართლათ ვერ შეეტყოს რედაქციას, შეიძლება ზოგი ამბავი არ გამართლდეს; მაგრამ ამ შემთხვევაში რედაქცია არ არის დამნაშავე. დამნაშავე ის არის, ვინც რედაქცია შეცდომილებაში შეიყვანა.

„დროების“ რედაქციის უბედურება ის კი არ არის, უფ. თარხან-მოურავო, რომ ხშირათ სიცრუეს იგონებს და ამბობს გავიგონეო; (დარწმუნებული ვარ, რომ დამშვიდებულ გულზე ამას ვერც თქვენ იტყვით, რადგან, იმის დასამტკიცებლათ, ერთი მაგალითის წარმოდგენაც არ შეგიძლიათ). არა „დროების“ რედაქციის უბედურება ის არის, რომ ძალიან იშვიათად შეუძლია სთქვას „გავიგონეო“, და როდესაც აქვს ამის შეძლება, მაშინაც წინ ხვდებიან სხვა და სხვა დამაბრკოლელი მიზეზები.....

სერგეი მესხი

# საქართველო

## გაბედნიერება.

„დროების“ კორრესპონდენცია. მართლიდამ

(უძღვნი დარია მამაცაშვილისას.)

მგონებ, უინტერესო არ იყოს თქვენთვის, რომელიმე შესანიშნავი სურათი ჩვენი გლეხკაცების ცხოვრებიდგან. ამისათვის მე მინდა აგიწეროთ ქორწინება, რომლის დამსწრეც ვიყავ წასული იანვრის ათს. მე მოვდიოდი თფილისიდგან და ჩემ თანამგზაურითურთ სოფ. ძეგვში ჩამოვეხტი სადილისთვის, და ცოტა რამ გასაკეთებელიც ჰქონდა ჩვენ ტარანტასს, ასე რომ ნაშუადღევის ოთხ საათამდის დავრჩით ერთს იქაურს დუქანში. სადილის შემდეგ მახლობლათ დაირას და სიმღერას ხმა მომესმა. მედუქნემ მითხრა: აქ ჩემ მეზობელს ქორწილიაქვსო—ქალს ისტუმრებენო და, თუ გნებავთ, ეწვიეთ, არ ეწყინებათო. მეც გავწიე იმ სახლისაკენ, საიდგანაც ეს სიხარულის ხმები გამოდიოდა, უფრო დედოფლის სანახავათ.

სახლი სუფთათ იყო მილაგებული: ძირს სამ კუთხივ ფარდაგები იყო დაფენილი და მეოთხე კუთხეში ბუხართან პატარა ტახტი იდგა. მორთულ-მოკმაზული ქალები დაირას და „ბუზიკას“ (გარმონიას) უკრავდნენ და რიგ-რიგათ თამაშობდნენ. ერთ ამათგანს ეკითხე, დედოფალი სად არის მეთქი?—სათონები გა-

*) „საჭიროა ჩვენთვის ურთიერთის შემწეობა, თუ არა“—იხილე შარშანწინდელ „დროების“ ნომრებში.

ხლამთ მოსართავათო, მიპასუხა. დედოფლის დედა მოვიდა, დაბლათ თავი დამიკრა და მიიხრა, თუ გნებავთ, წამოგბძანდით და ჩემს ქალს გაჩვენებთო. მე მიულოცე იმას ქალის გაბედნიერება და წავედ სასტუმროში, სადაც პატარძალი იჯდა მოკეცილი და რძალი თავს ხურავდა. როგორც ბედნიერ დედაკაცსაო, მარტო ამასა აქვს პირის მორთვის ნებაო, იქ მითხრეს. პატარძალი კაი წამოსადეგი მხარბეჭიანი ქალი იყო, იმისი მსუქანი ლოყები თეთრწითლათ ღვიოდა; მაგრამ ძრიელ დაღონებული კი იყურებოდა და იმის შავ ჯუჯუნა თვალებს თითქო კიდეც უხდებოდა ეს დაღონება. ნეტა რა აწუხებდა ამას? თავის სამშობლო ქვეყნის და მშობლების მოშორება, თუ უცნობი კაცი, რომელსაც ორის საათის შემდეგ უნდა გაჰყოლოდა? ვინ იცის, რა ნაირად უცემდა გული და რა ფიქრები ტრიალებდნენ იმის თავში? ვინ იყო მკითხველი, ვინ დაზდევდა, თუ რას გრძნობდა ამის გული? ეველანი ისე შესცქეროდნენ იმას, როგორც ბედნიერ ქალს, რადგანაც სთხოვდებოდა.

პატარა ხანს უკან პატარძალი გაკავებული გძელ მისიანი კაბით, რომელშიაც ძლივს სუნთქავდა და ხარბათ ფერ-უმარილ წასმული, თუმცა არც ერთი არ ესაჭიროებოდა იმის ფერსა, გამოიყვანეს დარბაზში და ტახტზე დაბძანეს.

დიდხანს აღარ გამოუველია, მახაროობელი მოვიდა, მეფიანი მოდიანო. დიდის ღრიანტელით და მაყრულის სიმღერით მობძანდნენ მეფიანი. ქალის ნათესავებმა მეფე სახლში არ შემოუშვეს: ჯერ შენი ვალი აასრულეო. მეფე შესდგა კარებში. ეს იყო ოცდა ორის, ან ოცდა სამის წლის ბიჭი, ფერ-მკრთალი, ტანდაბალი და უსიამოვნო შესახედავი. ამან ამოიღო ოთხი მანათი, მისცა მეჯვარეს და უთხრა: ერთი მანათი პირის მომრთველს მიეც და სამი ოსტატსაო.

— როგორ თუ სამი მანათი ოსტატსაო! ბაძოვარდა გაასპიტებული ხნიანი დედაკაცი. სული არ წამიწყდეს, რომ მე ხუთი მანათითაც ვერ მამიშორო.

— მეტს არ მოგცემ, უთხრა მეფემ.

— როგორ თუ არ მისცემო?!.. ბაიმართა ხუბი. დედოფლიანი ოსტატს ესარჩლებოდნენ და მეფიანი, რასაკვირველია, მეფეს. ჩხუბი დიდხანს გასწევდა, რომ მეფეს ხელი არ ეკრა თავის საცოლოს გამწრთვნელისათვის და ძალით არ შესულიყო შინა. მიიხედ-მოიხედა და რა დაინახა ტახტი, მივიდა და დაჯდა დედოფლის გვერდით. მეჯვარე, ყელ-ბაღლად შემოხვეული, მარჯვნივ მეფეს ჩამოუჯდა. მაყრები სიმღერით და ლაზღანდარობით ბუხრის წინ ჩამოსხდნენ. ერთმა ამათგანმა მოხსნა ხურჯინს პირი და ამოიღო: ტიკით ღვინო, არაყი, პირგაჭრილი პურები, ცივი დედალი და ღორის ხორცი; გაშალეს სუფრა, მოიმტვრიეს პურები, აამსეს ყანწები და მეფე-დედოფალი დალოცეს. საუზმეს შემდეგ, მეჯვარემ მოიკითხა ლანგარი და ზედ ჭრელი ნაჭრების ბოხჩა გადაშალა. ამაში ეწყვნენ: პატარძლის საკაბე, კურტკა, ფერჩატკები და ჩულქ-ბაშმაკი, აქეთ იქით დაუწყეს ორი პატარა თავი შაქარი მწვანე და წითელი ლენტებით აჭრელებული. ამასობაში მოვიდა მღვდელი და ჩვეულებისამებრ, აკურთხა ნიშანი, დალოცა მეფე-დედოფალი და წავიდა ეკლესიაში, სადაც პატირახანს უკან ჯვარი უნდა დაეწერნა ამ მიჯნურებისათვის, რომლებსაც, რაც მე იქ ხანი ვიყავი, არც ერთხელ არ შეუხედნიათ ერთმანეთისათვის, თითქო ეშინოდათ — ვაი თუ მოტყუებულნი ვიყოთო. (როგორც აქ შევიტყე ერთი მექორწინე ქალისაგან, მეფეს ჯერ ამის მეტათ არ ენახა თავის საცოლო, რადგანაც ამ ორი თვის წინათ ამის უფროს ძმას დაენიშნა თავის სარძლო.) პატარძალს ჩააცვეს ქრმის მოტანილი კურტკა, ფერჩატკები და მოახვიეს ბაღდადი. ერთმა მოხუცმა კაცმა, მოჰკიდა პატარძალსაც და მეფესაც ხელი და ხელი ხელს მისცა ამ სიტყვებით;

— მომიცია, შვილო, მთელი, წრფელი, უმანკო, ღმერთმა გაგაბედნიეროთ, ასი წელიწადი გაცოცხლოთ, ერთი ერთმანეთის სიყვარულით და თანხმობით. სამი ვაჟი მოქცეთ და ერთი ქალი.

ამ დალოცვაზე ყველამ ერთ-ხმათ შესძახეს: „ამინ“. მეფე-დედოფალი ხელი ხელს ჩაკიდულნი გავიდნენ სახლიდგან, თან მიჰყვნენ მაყრები სიმღერით და სტუმრები. ამ პროცესიამ მიმართა ეკკლესიას.

მე ამ დროს ჩემმა თანამემგზავრეებმა დამიძახეს და, ჩემდა სამწუხროთ, ველარ ვნახე ამათი ჯვარის წერა. როდესაც ჩვენმა იამშჩიკმა ცხენებს შებმა დაუწყო, ამ დროს ჩამოატარეს მეფე-დედოფალი, გვირგვინებ ჩამოკიდებული, ურმით. სამი მაყარი მოსდევდათ გაჩუმებული. მეფეს წითელი ხელსახოცი ეჭირა და ცრემლებს იწმენდდა, დედოფალსაც თავი ჩაელუნა. მე ძრიელ გამიკვირდა ეს ამბავი. ერთ მაყართაგანს ვკითხე, რა არის მეფის ცრემლების მიზეზი მეთქი? — დედოფალი დაგვიწიხლესო, მიპასუხა იმან და მერე მეფეს შეტევით უთხრა: — რა არის, შეგარცხვინოს ღმერთმა, რა გატირებს, ვაჟკაცი არა ხარ?

ამ დროს დუქან წინ იდგნენ რამდენიმე ყმაწვილი ბიჭები და ორიოდ-სამი იამჩიკი. ჩვენ ვერაფერ მივხვდით, თუ რას ნიშნავდა „დაგვიწიხლესო“. დაწიხლაზე და მეფის ტირილზე ამ ბიჭებმა შეჰქნეს ოხუნჯობა და სიცილი.

— ბიჭო, სთქვა ერთმა, უთოოთ კოჭლი შეატყუეს?

— არა, სიკოჭლე რა სატირელია? უთხრა მეორემ. — მაღალი ქუსლი გაუკეთებინოს, მაგ დალოცვილმა, და სწორეთ გაიელის.

— რუსული ნალი მიაკრან და სწორეთ გაიელის. აი, ნალბანდიც აქვე გვყავს, შორ ძებნა არ მოუნდება. უპასუხა მესამემ.

— სიყმე არ მომიკვდება, სთქვა მეოთხემ, ასე გამიგონია, კოჭლები უფრო ბედნიერები და ლამაზები არიანო.

ჩემ თქმაზე, რომ ის ქალი კოჭლი არ არის მეთქი, ამათ ლაპარაკი შესცვალეს.

— მაშ რა ვაგლახი შესდგომია მაგ ოჯახქორსა? ბამიშვით ერთი, წავართვა; მე კიდეც გამეხარდება, მაინც ტარანტასი ცარიელი მიმაქვს, და მგონი მძიმე ბარგი არ მომივა, სთქვა ერთმა იამშჩიკმა.

— აბა, თუ ბიჭი ხარ, გაბედე! აქეთ-იქიდგან უთხრეს.

— ქართველია? იკითხა იქ მყოფმა სომეხმა.

— მაშ! მიუგო მეორემ. — ეხლა სომეხს ჯვარი დაეწერება?

— მე მაშინვე ვთქვი ქართველმა იქნება მეთქი. სომეხი გიჟი იქნება, ისე საქმე დაიჭიროს, რომ მერე ინანოს? აკო, რაღა დროს ლაპარაკია, რაც ღმერთმა მოგცა, ხელი მოჰკიდე და! ეა!

ამათ ლაპარაკში მექორწილენი ხევს გავიდნენ; დანარჩენი მაყრებიც სიმღერით: „მოგვეყავს დედალი ხოხობი“ და სხ. მოეწიენენ მათ. ვნახოთ, მეფე ურმიდგან გადმოხტა და ხევ-ხევ დაეშვა. ჩვენ დავეშურენით იმ მოსაწვენელათ. ნახევარ ვერსზე მოვეწიენით და ვნახეთ, რომ მეფე ძირს დაცემულიყო და მაყრები ეხვეწებოდნენ — ადექიო.

— აკო, გაგიჟდი, რაღა დროს ტლინკვაა, როცა ჯვარი დაიწერე?

— ბამიშვით! გამიშვით! გაცოფებული იძახდა მეფე. — მე ეგრე არ წავიყვან მაგასა. მაგათ უნდა მომატყუონ?!

ძლივს რის ვაი-ვაგლახით დააყენეს მეფე. ერთმა მაყართაგანმა შემოისვა ცხენზედ და დედოფალს გამოუდგნენ, რომელიც მეურმემ სერზე ააცილა კიდეცა. ჩვენც ნელა-ნელა მივდევდით და ყურს უგდებდით, თუ სადამდინ მიახწევდა მეფის სიანჩხლე. მაყრები მოეწიენენ ურემსა, დააყენეს და სკივრის თოკებს ხსნა დაუწყეს. ამ საბრალო დედოფალს შინიდგან ერთი შორეული ნათესავის მეტი არავინ წამოჰყოლოდა, რომელიც, რაც ღონე ჰქონდა, გაუძალიანდა და სკივრის ახსნის ნებას არ აძლევდა; მაგრამ ერთი ამდენში რას გააწყობდა: ხელი ჰკრეს და ძირს გადმოაგდეს. ბადმოიღეს სკივრი.

— ბასაღები მომეც, შე მამა.... შენა? ერთი ვნახო, რა გამოგატანეს? რა ძევს ამ სკივრში? ექვსი თუმანი ჯიბის ფული აქ არის?

— ბასაღები მე არა მაქსო, მიუგო კანკალით და ტირილით დედოფალმა.

— არა მაქსო? მაშ კარგი, მე გავაღებ ამას. ერთმა მაყარმა ხანჯალი ამოიღო. აქამომდისინ კი სეირს უყურებდით, და ახლა კი პატარძლისა შეგვეშინდა, რომ არა აუტეხონ რა. ბადავედით და მივეშველენით. მე დედოფალს ნუგეშ ვაძლევდი. ჩემი თანამეგზავრენი მეფეს შემოეხვივნენ და ჰკითხავდნენ, რა არის მიზეზი შენი სიანჩხლისაო?

— როგორ თუ რა არის? ტირილით წამოიძახა. — მე რომ ჩემი უბედურება გიამბოთ, ხვალამდინაც ვერ გავათავებ, და გაცეცხლებული მივარდა სკივრსა. ერთს წამზე აგლიჯა თავი, ამოიღო ორი ბოხჩა, სპილენძის ტაშტი და თუნგი და ურემში დადაყარა.

— აი, მაგათი რჯული, მაგათი! ეს არის მზითევი? ცარიელი სკივრი დაუდგამთ, ესეც არ მინდა! და სკივრი ხევში გადააგდო — ახლაკი ჩავჯდები, აი თუ არ ჩავჯდები, ავიდა ურემში მოიკეცა ცოლთან, ერთიც მაგრა აკოცა და უთხრა:

— სუ, ნუ ტირი, მაგათი თავი კი, მაგათი... რათ მატყუებდენ. ერთი ორი ნაბიჯი, რომ? გავიარეთ, მეფეს კიდევ რაღამაც მოუარა და დაიძახა: დაიცადეთ, ერთი აქაც ენახო რა არის? ბაგლიჯ-გამოგლიჯა მაფრაშის თოკები, ამოალაგა ლოგინი და ზოგი აქეთ გადაისროლა და ზოგი იქითა.

— არც ესენი მინდა მაგათი, წაიღონ! მაყრებმა დაიტაცეს ლოგინი: ერთმა ბალიში, მეორემ საბანი და ცხენებზედ დაიკეცეს.

ეს ღრიანტელი და ვაი-ვაგლახი ძეგვის ალმართზე იყო. სოფლიდგან, რასაკვირველია, დაინახავდნენ ამ ამბავს; ქალი და კაცი მექორწილეები სულ ერთიანათ ვამოცვინდნენ დედოფლის მოსაშველებლათ. მოუვიდათ ჩხუბი ორთავ მხრის მაყრებს. მეფე ურმიდგან გადმოაგდეს, დედოფალს ხელი წაავლეს ქალებმა და სოფლისკენ გააქციეს. მეფის მაყრებმა, რო ნახეს თავიანთ დამარცხება, თაეგადაგლეჯილები გამოუდგნენ და რის ვაი-ვაგლახით და ცემა-ტყეპით გამოიხსნეს დედოფალი, ჩასვეს ურემში და გამოატრიალეს საჩქაროთ შინისაკენ...

ჩვენ ეს ნელა-ნელა სიარული ხელს არ მოგვცემდა და გავეჩქარენით. ბინდმაც მოატანა. ამ სიცივეში, ბნელაში და ტრიალ მინდორში დარჩა საცოდავი დედოფალი, უგონოთ დამთვრალს კაცებში. და მე ჩემს გულში ვთქვი: ამის დედაც იტყვის, რომ შვილი გავაბედნიერეო.

ეკ. თარხან-მოურავისა.

---

ბაზეთის „კავკაზის“ კორრესპონდენტი შემდეგ ამბავს იწერება ბ ურ ი ი დ ა მ: „თითქმის მთელი ბურია მოფენილია რთხმელის ტყეებითა, რომელიც არც შეშათ არის გამოსადეგი და არც საშენებელ მასალათ. ამ ტყეების სიმრავლისაგან ბურიაში საშინელი ნოტიო ჰაეა და ამის გამო ეს მშვენიერი ქვეყანა ძალიან ცუდ ეკონომიურ მდგომარეობაში და სილარიბეშია ჩავარდნილი. მცხოვრებლებს მჭადისა და ღომის მეტი არაფერი არ მოჰყავთ და ამ ორ მოსავალს ძალიან ბევრი მუშაობა უნდება, ასე რომ გურული წლითი წლობამდი თავის ღომისა და მჭადის ყანების თოხნას და წმენდას უნდება, მაშინ როდესაც პურს რომ სთესდენ, ამდენი მუშაობა არ დასჭირდებოდათ და სხვა საქმისთვისაც დარჩებოდათ დრო. მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ბურიაში, ნოტიობის გამო, პური თითქმის სრულიად არ მოდის. ამის გამო, ჩვენი აზრით, სანამ ბურიაში ალაგ-ალაგ უვარგის რთხმელის ტყეს არ ამოჭრიან და პურის თესვას არ დაიწყებენ, მანამ იქაური მცხოვრებლების ეკონომიური მდგომარეობა არ გაუმჯობესდება.„

მეორე უბედურება, რომელიც უშლის ბურიის მეურნეობის წარმატებას და ხალხის კეთილ-დღეობა', კორრესპონდენტის აზრით, ის გარემოებაა, რომ იქაურ მემამულეებს ნაწილ-ნაწილ აქვთ სახნავი მიწები გაფანტული; ასე რომ ერთი ნაჭერი რომ აქა აქვთ, მეორე ექვს, რვა, ათ ვერსზეა. — სანამ ეს ორი დაბრკოლება არ მოისპობაო, ამბობს „კავკაზის“ კორრესპონდენტი, მანამ ბურულების ეკონომიური მდგომარეობა არ გაუმჯობესდებაო.

* * *

ზაქათალაში, სომხის შკოლასთან, საკითხავი სახლი ანუ ბიბლიოთეკა, გაუმართავთ თვითონ მცხოვრებლებსა. ამ საქმისათვის ზაქათალის მცხოვრებლებს შეუწირავთ 300 მან. და ზოგიერთებს წიგნებიც. ამბობენ აგრეთვე, რომ ამ მოკლე ხანში აქ ქალების პატარა შკოლის გახსნასაც აპირებენო.

---

# რუსეთი

## პ ე ტ ე რ ბ უ რ ღ ი დ ა ნ

„დროების“ კორრესპონდეცია.

(დასასრული)

ქვეყანაზედ არა არის რა გამოუცველელი. უწინ ამბობდენ, რომ მარტო ქვეყანა და დედა-მიწა არ იცვლებაო, მაგრამ ახლა მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ისიც თან და თან იცვლებაო. მაშ, თუ ეს ასეა, თუ ფსულდმტლო დედა-მიწაც ამისთანა ამბებშია, მაშ ჩვენ რაღა გვეთქმის სულიერ არსებაზედ — კაცობრიობაზედ, რომელიც

Mირბის, მიფრინავს, მიჭექავს

ყოველ გვარ ასპარეზზედ და ნამეტნავად განათლებისა. „ქვეყანა არის თეატრონი და კაცნი მოთამაშენნი“ — ამბობს უფ. ირ. ლორთ-ძე.

რასაკვირველია, რომ პარიჟის ტრაქტატს და კონვენციას, როგორც ყველაფერს ქვეყანაზედ, ერთ დროს ბოლო უნდა მოღებოდა, როგორც ბოლო მოეღოთ ბევრ სხვა ყოველ გვარ ტრაქტატებს ევროპაში. აბა, მეორედ მოსვლამდინ ხომ არ დარჩებოდა პარიჟის ტრაქტატი გამოუცველელი. როდესაც დიპლომატები პარიჟის ტრაქტატს აკეთებდნენ, იმათ გულში ძალიან კარგად იცოდნენ, რომ მათი ნაშობი ტრაქტატი, როგორც დაიბადა, ისე მოკვდებოდა. მაგრამ ნამდვილად კი არ იცოდნენ, რომელ წელში მოეღებოდა ბოლო ან შეიცვლებოდა პარიჟის ტრაქტატი. მას მერმედ გავიდა 17 წელიწადი და ევროპაშიაც ბევრი ცვლილებაები მოხდა.

1859 — 60 წლებში რამდენიმე საკოროლოდ დაყოფილი იტალია შეაერთა ბარიბალდიმ, განდევნა პატარ-პატარა მიწების კაროლები და ასე იტალია შეიქნა ერთ დიდ სახელმწიფოდ, რომელმაც დაიჭირა შესაბამი ალაგი ევროპის სახელმწიფოებთ შორის.

1860 წლიდამ პრუსია თან და თან ძლიერდება ევროპაში. 1866 წ. პრუსიამ აუტეხა ომი ავსტრიას, დაამარცხა ის და მოაშორა გერმანიის კავშირს. დამარცხებულმა ავსტრიამ მაშინ მიიღო სხვა პოლიტიკა და დაუწყო ორივ თვალებით ჭვრეტა აღმოსავლეთსა და სლავიანების ქვეყნებს.

წელს, ჩვენ თვალ წინ, მოხდა და ჯერაც არ გათავებულა საშინელი ომი გერმანიას და საფრანგეთ შორის, რომლის მზგავსი ჯერ არ

უნახავს კაცობრიობას თავის ისტორიაში. ნაპოლეონ III, რომელმაც ასე უმსგავსოთ დაიმონა საფრანგეთი და 19 წლის განმავლობაში ჰყავდა ის ხელში—ის ნაპოლეონ III, რომელსაც ერთ დროს დიდი გავლენა ჰქონდა მთელს ევროპაში—ეხლა დამარცხებული, თავის ჯარით დატუსაღებულია ბერმანიაში. საფრანგეთში ისევ დაფუძნდა რესპუბლიკა და ნაპოლეონს აესრულა ის ბედი, რომელიც ასე თამამად უწინასწარმეტყველა ვიქტორ ჰიუგომ თავის „Chatiments“-ში.

რუსეთის მმართებლობის ინტერესი მოითხოვდა, რომ მას მოეშორებინა თავიდამ ის შემავიწროებელი კონვენციის პირობები, რომელთაც ასრულებდა 14 წლის განმავლობაში და რომლის ასრულება მისთვის სამძიმო იყო, რადგან სამხედრო ფლოტის უქონელობა შავს ზღვაში ასუსტებდა მის ვაჭრობას და სამხრეთი ურიმის კიდურებს. გამოვიდა რუსეთის კანცლერის, თ. გორჩაკოვის, ცირკულიარი 19 ოკტომბერს. ამ ცირკულიარში ის პირ-და-პირ ამბობს, რომ დღეის იქით რუსეთის მმართებლობა ვალდებულად აღარ ხდის თავის თავს ასრულოსო პარიჟის კონვენციის პირობები; რუსეთის მართებლობის ინტერესი ძრიელ მოითხოვსო, რომ მას ჰქონდეს შავ ზღვაში თავისი საკუთარი ფლოტი, რომ დაიცვას თავისი კიდურებიო. ამისათვის ვაუწყებო ევროპის სახელმწიფოებს, რომ რუსეთს კონვენციასთან აღარ ექნება არაფერი კავშირი და ვალდებულებაო. როგორც რუსეთის მმართებლობამ უარი ჰსთქვაო კონვენციის პირობების ასრულებისა, აგრეთვე ოსმალეთსაც შეუძლიაო თავის მხრით უარი ჰსთქვასო და გამოიყვანოს თავის ფლოტი შავს ზღვაშიო.

---

როგორ მიიღეს ეს ცირკულიარი ევროპის დიპლომატებმა და გაზეთებმა?

თ. გორჩაკოვის ცირკულიარიდამ ჩანს, რომ რუსეთის მმართებლობამ პირ-და-პირ გამოაცხადა, რომ ვალდებულად აღარ ხაცხს კონვენციის პირობები ასრულოს. და ამ მოულოდნელმა ამბავმა ააღელვა დასავლეთი ევროპა და ნამეტნავად ინგლისი, ავსტრია, ოსმალეთი და იტალია. მე აქ არ ვიხსენიებ საფრანგეთსა, რომელსაც ურიმის ომში უპირველესი ალაგი ეჭირა, არ ვიხსენიებ იმიტომ რომ საფრანგეთს ახლა თავისი შინაური დარდი აქვს და კონვენციებისთვის ჯერ არ ჰსცალია.

ინგლისში გორჩაკოვის ცირკულიარმა ძალიან იმოქმედა: თითქმის მთელი ინგლისის დიპლომატები და გაზეთები პირველათ წინაალმდეგნი იყვნენ ამ ნაირ რუსეთის მმართებლობის მოქმედებისა. როგორც ინგლისის მინისტრმა, ლორდ ბრენვილმა, აგრეთვე ყველა გაზეთებმა გამოაცხადეს დიდი პროტესტი. პირველჯერ ცირკულიარი მიიღეს, როგორც Casus belli, და ამტკიცებდნენ, რომ რუსეთთან ომი აუცილებელიაო. გამოჩენილმა ინგლისის გაზეთმა „ტაიმსმა“ (Times), რომელსაც დიდი ხმა და გავლენა აქვს ინგლისში, გამოაცხადა, რომ, თუ რუსეთი სისრულეში მოიყვანს თავის სურვილს—და გააგზავნის ფლოტს შავ ზღვაშიო, ჩვენც უეჭველად უნდა გავგზავნოთ ესკადრა შავ ზღვაშიო.

სხვა ინგლისის გაზეთები, როგორც „Morning Herald“, Morning Post“ და სხვები უფრო და უფრო ცირკულიარის წინაალმდეგ პროტესტებს ბეჭდავდნენ.

დიპლომატები ჭკვიანი კაცები არიან; ისინი ჯერ ხუთჯერ გაზომენ და ერთხელ მოჭსჭრიან. ნაპოლეონმა აჩქარებულად გამოუცხადა ომი პრუსიას და, ხედავთ, რა დაემართა. ინგლისის გარეგანი საქმეების მინისტრმა, ლორდ ბრენვილმა, მისწერა პასუხად გორჩაკოვს, რომ რუსეთისთვის კეთილის მეტი არა მსურს რაო, მაგრამ ამ ნაირი თვით ნებითი კონვენციის დარღვევა ჩვენთვის ძრიელ საწყენარი არისო. ამაზედ თავის მხრით გორჩაკოვმა უპასუხა, ის დარწმუნებულია, რომ ინგლისის მთავრობაც გრძნობს, რომ ხსენებული პარიჟის კონვენცია რუსეთისთვის შემავიწროებელია და ამასთანავე გამოუცხადა ინგლისს რუსეთის მთავრობის მეგობრობითი გრძნობა.

ამასობაში ინგლისში პირველმა შთაბეჭდმლებამ ჩაიარა და ინგლისის პუბლიცისტები დამშვიდდნენ. დასსვა ბანით დაიწყეს გალობა. „ტაიმსმა“ (Times) შემდეგ სტატიებში ცირკულიარის გამო, თქვა, რომ უნდა ვეცადოთ ომამდინ საქმე არ მივიყვანოთო. ომი დასცემს და შეაჩერებს ჩვენ ვაჭრობასაო და ისიც ღმერთმა იცის, რა შედეგი ექნებაო ომსაო. სხვა ინგლისის გაზეთებმაც დაიწყეს მშვიდობიანი სტატიების ბეჭდვა: კარგი იქნებაო, რომ კონფერენცია შედგესო და ამ კონფერენციამ მშვიდობიანათ განიხილოს რუსეთის ცირკულიარიო.

ვინც კი კარგად იცნობს ინგლისელებს და მათ გარეგან პოლიტიკას, ის თავიდგანვე დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ ინგლისელები პირველ შეფუცხუნების შემდეგ მალე დამშვიდდებოდენ. 1864 წელში, როდესაც პრუსსიამ წაართვა დანიას შლეზვიგ-ლოლშტეინი, მაშინაც ინგლისელებმა ბევრი პროტესტები ბეჭდეს პრუსიის წინაალმდეგ, მაგრამ ამით რა გამოვიდა? პრუსსიამ აიღო შლეზვიგ-ლოლშტეინი და ინგლისმა კი ნამდვილი, მატერიალური შემწეობა არ მისცა დანიას. ინგლისელებმა იფიქრეს, რომ ჩვენ რა გვენაღველებაო, რომ პრუსიამ შლეზვიგი აიღოვო, ამით ჩვენი ვაჭრობა არ დაეცაო....

ავსტრია როგორ უყურებდა ამ საქმეს?

ავსტრია არ არის ერთ-ნაციონალური სხეული, თუ შეიძლება ასე ვთქათ. ავსტრიაში არიან და ირიცხებიან: ნემცები, სლავიანელები, პოლშელები, ჩეხელები და სხვა ნაციის ხალხები. ავსტრიელები სადღა არიან? ავსტრია, როგორც ნაცია—არ გახლავს. ავსტრიაში ითვლება ბარე შვიდი ნაციის ხალხები და ამ ნაციის ხალხებს ერთი საერთო სახელი აქვთ—ავსტრია. ყველა ეს ნაციები თვითეულად ცდილობენ როგორმე განთავისუფლდნენ და განცალკევდნენ ავსტრიიდგან: ნემცები ბერმანიისკენ იწევიან, სლავიანები სხვა სლავიანებისაკენ, ტრიესტელები—იტალიისკენ, და ასე, მკითხველო, არის ერთი ვაი-ვაგლახი ავსტრიაში. ეს ვაი-ვაგლახი უფრო გაძლიერდება, თუ ავსტრია რომელსამე ომში გაერია და დამარცხდა.

1848 წელს, როცა ავსტრიაში და ბერმანიაში დიდი არეულობა იყო, ნიკოლოზ I დაეხმარა ავსტრიას ჯარით და ზარბაზნებითა, ურჩი ქვეშევრდომების დასაშვიდებელად. მაგრამ ავსტრიამ ურიმის ომის დროს დაიჭირა თითქმის რუსეთის მოპირდაპირე ადგილი და შეიყვანა ჯარი დუნაის სამთავროებში იმ დროს, როდესაც იქ რუსეთის ჯარი იყო.

ახლანდელი ავსტრია ის ავსტრია არ არის, რომელიც იყო 1866 წლამდინ. უწინდელ ავსტრიას დიდ ძალი გავლენა ჰქონდა ბერმანიაზედ და იმის კავშირში უპირატესი ალაგი ეჭირა. მაშინდელი ავსტრია არ იყო ასეთ მდგომარეობაში, როგორც ახლაა. 1866 წ. პრუსიამ აუტეხა ომი ავსტრიას, ერთბაშად დაამარცხა, ჩამოაცალა მისი გავლენა ბერმანიაზედ, რომელიც მერმედ პრუსსიამ მიითვისა. დამარცხებულმა ავსტრიამ, რა გაეწყობოდა, მიუბრუნა ზურგი ბერმანიას.

რასაკვირველია, რომ ავსტრიის მმართებლობას ძრიელ არ იამა თ. გორჩაკოვის ცირკულიარი, რადგან, როგორც კონვენციის, აგრეთვე პარიჟის ტრაქტატის დარღვევა ავსტრიას უფრო ეხება, ვინემც სხვა სახელმწიფოს, გარდა ოსმალეთისა. ამის შემდეგ, ეჭვი არ არის, რომ გორჩაკოვის ცირკულიარი დიდ შთაბეჭდილებას აღძრავდა ავსტრიაში. ავსტრიის დიპლომატები პირველათ მაგრათ დაუხვდნენ რუსეთის ცირკულიარსა, მაგრამ ამ შემთხვევაში დიპლომატებს დიდი იმედი ჰქონდათ ინგლისისა, თორემ მარტო ავსტრია არასდროს არ გაბედავდა რუსეთის ცირკულიარის წინააღმდეგობას. ავსტრიის კანცლერის, გრაფ ბეისტის პასუხის აზრი ისეთივეა, როგორც ლორდ ბრენვილის პასუხისა, ამისთვის დაწერილებით ლაპარაკი ბეისტის პასუხზედ ნამეტანი იქნება.—სულ სხვა გვარად მოქმედობდა ამ შემთხვევაში ავსტრიის ჟურნალისტიკა. ჩვენ ვხედავდით, როგორც პირველად ინგლისის გაზეთები ყველა ერთად შეფუცხუნდნენ და მერე კი ისევ დამშვიდდნენ. ავსტრიაში, როგორც მოგახსენეთ, ბარე შვიდი ნაციის ხალხებია და ყველა ნაციებმა ცალ-ცალკე გამოაცხადეს თავიანთი სურვილი და აზრები, გარდა ოფიციალურ გაზეთებისა, რომელნიც დიპლომატების ენა არიან. მაგალითად, ვენგრულ გაზეთებმა ერთბაშათ დაიძახეს, რომ უნდა ვეომოთო, ჩეხელებმა და სლავიანებმა გორჩაკოვის ცირკულიარი სიხარულით მიიღეს: იმათ თქვეს, რომ ცირკულიარი ყველა სლავიანებს გვეხებაო და იმედია რუსეთი მალე გაგვათავისუფლებსო. ავსტრიის ნემცებს უნდოდათ, რომ მშვიდობიანობით გათავებულიყო საქმე და სხ.

რაც შეეხება იტალიას, რომელსაც ხელმოწერილი აქვს პარიჟის ტრაქტატზე და, მაშასადამე, მასაც ეხება გორჩაკოვის ცირკულიარი,—ამბობენ, რომ იტალია გულ-გრილად უყურებდა ამ საქმესო, რადგან იტალიის ინტერესები არ შეეხებაო ამ კონვენციას.

ეს კორრესპონდენცია გათავებული მქონდა და ვაპირობდი გამოგზავნას, როცა ახალ მიღებულ გაზეთებში წავიკითხე ტელეგრამმები გორჩაკოვის ცირკულიარის გამო. პრუსიამ ურჩია ინგლისს და სხვა სახელმწიფოებს, რომ, მშვიდობიანათ საქმის გათავებისათვის, შეჰყარეთ კონფერანცია, რომელიც განიხილავს გორჩაკოვის ცირკულიარსა და იმ კონფერენციის გადწყვეტილებას ყველანი დაემორჩილებიანო. ინგლისი, რუსეთი, ოსმალეთი, ავსტრია და იტალია დათანხმებულან კონფერენციის შეყრაზედ. *)

მ. ათაბეგელი.

---

თითქმის სამი კვირა გადის, რაც ჩვენს თფილისში არც ერთი რუსეთის სატახტო ქალაქიდგან ფოჩტა არ მოსულა. ძალიან სამწუხაროა, რომ იმ დროს, როცა ევროპის ცხოვრებაში ისეთი შესანიშნავი ამბები ხდება, ჩვენ მოკლებულნი ვართ გაზეთებსა და იქაურ ამბებს სრულებით ვერ ეტყობულობთ. კავკასიის ნამესტნიკის მთავარ სამმართველოში მოვიდა ამბავი, რომ ფოჩტების გაჩერების მიზეზი სამხრეთ რუსეთში საშინელი თოვლი და ბუქი იყოო; თოვლს სრულიად დაუფარავს რკინის გზები, მაგრამ ახლა, ამ რკინის გზების უფროსებისა და მმართებლობის მეცადინეობით, რელსები გაწმინდესო და მისვლა-მოსვლა არისო. ჯერ კი მაინც ფოჩტა არსად ჩანს. საუბედუროთ, ტელეგრამმებიც იშვიათად მოდის ამ უკანასკნელ კვირაებში „კავკაზის“ რედაქციას, თორემ იმათგან გაკვრით მაინც შეეიტყობდით ზოგიერთ ევროპის ამბავს. ამ კვირაში, მაგალითად, ტფილისში მარტო ორი ტელეგრამმის მეტი არ მოსულა. ამ ამბების ქესატობისთვის მკითხველი რედაქციას ვერ დაეშდურება.

---

*) „დროების“ მკითხველმა იცის, რომ, როგორც ტელეფრამმამ გვაცნობა, ეს საქმე ლონდონის კონფერენციაზე რუსეთის სასარგებლოთ გადწყდა.

რედ.

### ᲐᲛ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

ს. პეტერბურგი, ბრიუსელი-დამ. მორიგება თითქმის გათავებულია. ნემცები მიიღებენ ხუთ მილიარდ ფრანკს საზღველათ; სიმაგრეები და დანარჩენი საფრანგეთის ადგილები, რომელნიც ნემცების ხელშია, იმათვე დარჩებათ, სანამ ფრანცუზები მორიგების ყველა პირობებს არ აასრულებენ.

ვერსალი-დამ. ოფიციალური ცნობა არის, რომ 14 (26) თებერვალს ზოგიერთი მორიგების პირობები შეუკრავთ.

ს. პეტერბ. 16 თებერვალს. ვერსალი-დამ. მორიგების პირობები შეკრულია. საფრანგეთი დაუთმობს ნემცებს ელზასს, ბელფორის სიმაგრეს გარდა, და ნემეცურ ლოტარინგიას, აგრეთვე მეცის სიმაგრეს. აძას გარდა საფრანგეთს ხუთი მილიარდი ნემცების საზღველი ფული გადახდეა. ამ პირობების შესრულებამდი ნემცების ჯარები ზოგიერთ საფრანგეთის ადგილებში დარჩებიან.

---

ოდესის ტელეგრაფის აგენტობა სტავროპოლის უწყებებში იწერება, რომ საფრანგეთის განმაწესებელი კრების დეპუტატების ამორჩევა გათავებულაო. ყველაზე უმრავლესი დეპუტატები ოლლეანის მომხრეები ამოურჩევიათ და შემდეგ იმპერიალისტები; ყველაზე უფრო ნაკლები დეპუტატები კი რეპუბლიკური პარტიიდამ არიან ამორჩეულნი.

---


# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

| ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ | ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ |
|---|---|
| უ. ტერგრიქურიანცის უ. ალადათოვის წიგნის მაღაზიებში. | უ. სიმონ ჩომაიძესთან, პრინცის სტამბაში. |

ᲗᲘᲗᲝ ᲨᲐᲣᲠᲘ.

1—„ᲡᲐᲬᲔᲠᲘ ᲠᲕᲔᲣᲚᲘ“, სურათებით შიდგენილი შკოლებისთვის. ამ რვეულით ყმაწვილი ადვილათ ჰსწავლობს ქართულ წერასა.

2.—„ᲥᲐᲢᲐ ᲐᲬᲝᲜᲐ“, ახალი კომედია ორ მოქმედებათ.

---

თფილისს გარეშე მცხოვრებლებს შეუძლიანთ ფოჩტით მოითხოვონ ეს წიგნები უ. ტერგრიქურიანცისგან, არცრუნის ქარვასლაში.

---

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ თფილისს მართანოვის წიგნის მაღაზიაში და ი. ბოგებაშვილისას.

# ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘ

შედგენილი ი. ბოგებაშვილისაგან

ᲤᲐᲡᲘ ᲝᲠᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

# ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ

საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის საქართველოს კარტითა შედგენილი ი. ბოგებაშვილისაგან.

ᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲑᲐᲖᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

ალადათოვის მაღაზიაში ისყიდება.

# ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲕᲚᲐ

დარიგება ყმაწვილების მოვლისა | თხზულება ინგლისის კოროლევის დოქტორის ქომბისა.

ᲤᲐᲡᲘ ᲐᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Февраля 1871 г.* ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.